იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნომრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. ხაზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 18
წელიწადი მეორე
— 1913 —
ოთხშაბათი, 23 იანვარი

რედაქცია მთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ამბავ, მოსწიეთ ჰაჰიროზი

15 ცალი 6 ჭ.

„ა ნ ი“

25 ცალი 2 შაურათ

აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირზ“.

ამბავ, მოსწიეთ ჰაჰიროზი

20 ცალი 1 შაურათ

„ველაია რომაშკა“

20 ცალი 1 შაურათ

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირზ“.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 იმერეთი წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . .	7 მანეთი,
ნახევარი წლით . .	4 მანეთი,
ერთი თვით . . .	4 აბაზი
და ცალკე ნომრის . .	1 შაური.

წლიურ ხელის-მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელის-მოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისს-თვესაც ორი მანეთი.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზად.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით ასწარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო ასწარი თითო აბაზით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასით.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოგვიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

Антону Михаиловичу Хелаидзе.

ბენეფისი მარო მდივნისა.

ხუთშაბათს, 24 იანვარს 1913 წ. ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

პაპტარა კოლეგა

მოზარდი ქალის სიყვარული.
(კომ. 4 მოქმ., თარგ. სანდალიასი)
რეჟისორი ვ. ჭარელი.
დასაწყისი საღ. 8½ საათზე —:: — ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ქ. ქუთაისში
კეჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
ვ. ვ. გიგინეიშვილისა.

ორგანიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასოლიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.
თებერვ რა დიდუშში
1 იანვრიდან 1913 წ.
იყიდება ადგილები
სცენის ფარდაზე
განცხადებების და რეკლამებისათვის.
ყურველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

ბილეთ
ქიმი ა. დ. აბაშიძის ახული
ვიზინაქიძისა იღებს თავთმყოფ-ს დღის 9—2 საათამდე და საღამოს —7 საათამდე. თფილისის ქ. ინჯიას ლი.

აქიმი ვ. ი. ფაქინი ქირურგიულ-ლი და სანარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდე. ვლისტის ქ. გვახარიას სახლი.

აქიმი. გ. დ. ნასარიძე კ მისი და ე. დ. ნასარიძის ახული ბიზინაქიძისა იღებს თავთმყოფ-ს ბედიდან ხახდ ბანაზე, იქვე ძველი ბინის მარდაბარ ტ. ს. ეზოგოვის სახლში.

აქიმი ი. ჩარექოვი. იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით განას, გენერალსა და სიფილისიან ავთმოყვანებს. დღეს 12 სად. 2-დე; ხვალ 5—7.
ძველ ქნეგზეძის ქ. ბებურიშვილის სახლში.

ბებია ქალი
ო. დოლიდას ახული
აქამ კარგტელმანთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე ქალთა მოსახლეობისათვის. ფასი მორიგებით.
ბუნკინის ქუჩაზე ვიტუზინის აფთიაქის პირდაპირ.

დღიური

— სერბიის მთავრობამ ევროპიდან სანიტარული რაზმი გამოიხმო.

— სავოის განკარგულების საომარი მომზადების შესახებ ბულგარეთის ჯარი აღტაცებით მიეგება.

— ახალგაზდა ოსმალები, ქადაგობენ: სამშობლო გაჭირვებაშია, ნაციონალური ჯარი შეკვნათო.

— ოსმალეთი საბერძნეთს ეგების კუნძულს არ უთმობს. ოსმალეთს ეს აზრი იტალიამ ჩაგონა. იტალიას ავსტრიისა და გერმანიის შემწეობით ეს კუნძული თვით უნდა ხელთ იგდოსო.

— ხმაა—დიდი სახელმწიფოების ნოტაზე ოსმალეთის პასუხი გერმანიის ელჩმა შეიმუშავაო.

— ოსმალოს ფიცრებმა დიდ ვეზირს გაუსპადეს—ენვერ ბეი და მისი თანამოაზრენი სამსახურიდან დათხოვეთო, თვალა ომში არ წავალთთო.

— გალიპოლის ჯარი ნაზიმ-ფაშას მოკვლით აშფოთებულია.

— ჩატალჯაში შურის-ძიების ნიადაგზე 40 ფიცერი მოკლეს, და 170 დასჭრეს. ყველა მოკლულ—დაჭრილი ფიცერი ახალგაზდა ოსმალთა პარტიის წევრია.

— ოსმალეთის ჯარი ორ-ბანაკათ გაიყო. ერთი მხრით ნაზიმ-ფაშას მომხრენი ხოლო მეორე მხრით ახალგაზდა ოსმალთა თანამგრძნობი ერთმანეთში შეტაკება აქვთ. ერთი შეტაკების დროს მოკლულთა რიცხვი 300 აღემატება.

— ლონდონში ხმა გავრცელდა—მეგარი რაზმი ჩერგეზი ფიცრების მეთაურობით სტამბოლს მიდის ახალგაზდა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველათო.

— ახალგაზდა ოსმალთა პარტიის ბელადები კონტრ-რევოლუციის შეშით საცხოვრებელ ბინას ხშირათ იცვლიან.

— როსტოვში როსტოვ-ჯევკოის გზის სადგური იწვის.

— ლიმში დაიპატიმრეს ქსენძი. ის ებრაელების წინააღმდეგ ბოიკოტის აზრს ავრცელებდა.

— სარატოვისა, სიმბირსკის და ეკატერინოსლავის ქალაქის თვითმართველობებმა ამნისტიის შესახებ შეამდგომლობა აღძრეს.

— პოლანდიურის სეიმის ტალმანათ სოციალდემოკრატი ლოკაი აირჩიეს.

— ოსმალეთის ახალმა მთავრობამა მველი ფიცრები და ჯარის უფროსები გაადგილა და ნაცვლად ახალგაზდა და ენერგიული ფიცრები დანიშნა.

— ოსმალეთის მთავრობას იმედი აქვს ტრიპოლისიდან მოსული და გამარჯვებაში გამოცდილი 120 ფიცერი ომში მონაწილეობას მიიღებს და სულიერათ დაცემული ჯარს აღადგენს.

ახალი ამბავი.

როგორც გავიგეთ, ოზურგეთის მაზრის მესამე რაიონის სახალხო მოსამართლის მასწავლებელნი პეტრაიას უეზოვნად დებუტთ ვ. გელოვანსა და ა. ჩხენკელს, რომლებიც აუწყებენ სახალხო მოსამართლეებს აწორმებულ მდგომარეობის დარეგულირების უკანასკნელი განკარგულების გამო და სთხოვენ მათ დაიცვან ბრძანებული, 81 წლ. სასწავლო პლანი და სახელმწიფო თავი გამოიღვან სახ. მოსამართლეებს აცნობონ, რომ ჩვენ მოსამართლეებს უფლება მიეცეს სამშობლო ენის სწავლის წარმოებისა მთელი კურსის განმავლობაში.

✦ ქუთ. ქალაქის გამგეობის წევრად ბირჩიეს ს. ქვარიანი; 20 თებერ და 19 შვე კენჭი მიიღო; მოკლე ბრივენ ყოლია.

✦ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენებურ თავად-აზნაურთა წრეში მთქმელ-მოთქმა იმის გამო, რომ რომანოვების ვეკრეულობის დღესასწაულზე დასასწრებათ დეპუტატის არჩევისთვის გუბერნიის წინამძღოლმა თავად-აზნაურთა კრება არ მოიხმინა და და უმეტოთ ბირჩიეს დღესასწაულზე გასაგზავნი წარმომადგენელნი. ითხოვ ბირი დაუხახელებით დეპუტაციაში: გუბერნიის წინამძღოლი თ. ფარ. მიქელაძე, თ ი ი. გელოვანი, კ. ერისთავი და დ. კ. ნოვრაძე. ახლა ცნობა მოსულა იმისი, რომ თავად-აზნაურთაგან მხოლოდ სამი წარმომადგენელი უნდა გაიგზავნოს.

✦ გუბერნიის გამგეობას უკანონოთ უცვნია და ანდრია ღულაც არ დაუმტკიცებია ოზურგეთის ქალაქის მოურავათ.

✦ ქუთაისში ხმა დადის, რომ ფოთის ქალაქის არჩევნებსაც დაარღვევენ იმავე მიზეზითაო, რა მიზეზით ც ანდრია ღულაძე არ დაამტკიცესო: ამიტომაც ცხვენით ქალაქის თვით მართველობაში სამსახური.

✦ ჩვენი გაზეთის მე 15 №-ში ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა შემცდარი ცნობა მოგვაწოდა იმის თაობაზე, რომ თ-და ვ. გურიელი ვითომც წამპაროდეს მგელაძეს და ხანჯლით დაეჭრას იგი და ამ დროს თ-დს თან რამდენიმე კაციც ხლებოდეს. ეს გურიელი თავადი ვახტანგი გამოდგა. რომლის ჩვენი პირადი ცნობა იმას ამოწმებს, რომ იგი წამპარას არ იკადრებდა. თავადსა და მგელაძეს ლაპარაკი მოსულიათ, პირის პირ შემხვედრ ერთმანეთს და ამდროს დაუჭირა თ. კურიელს მგელაძე. ვასჯორება ამ უნებლიე შეცთომას.

✦ ზემო იმერეთში ერთ გლეხს უნახავს ქვა-კაჟი, რომელზეც ' მეოლარე, მდიდრულათ მორთული ქალი საუცხოოთ ამოკვეთილი. ქალი პატარაი უნდა იყოს—მოკლეკუვლია. ქვა განით მტკიცეული და სიგრძით მტკაველ ნახევარი იქნება. ზედ წარწერაცაა ბერძნული ანბოთხვა გაუპირდაპირ ძველი ბერძნული ენაზე.

✦ გამომცემელი ამბ. „ივერიისა“-ს გამგე ვ. გაღლითა ოტყობინება, რომ სამ წიგნზე ვისაც ხელმოწერილი ქონდა და ფული შემოტანილი, იმათ წიგნები დაუწერიგებიათ მომავალი მაისის ბოლო რიცხვებში. მას ეს წიგნები მეტების სტამბაში დაბეჭდილი უწყვია და უცთის გამომცემლის გამოვიყიდულებას, ან. ერისთავ-ხოშტარიასი ნაწერების ნაცვლად მისგან პირობის დარღვევის გამო, გამომცემელს დაუბეჭდია 360 გვერდიანი წიგნი „ალიონის კრებული“, რომელშიც მოთავსებულია 25-დი სხვადასხვა მოთხრობა, ამბები და ესკიზები ქართველ ბელეტრისტებისა, ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი გამომცემლის მიერ ცოტაში ყოფნის დროს. რაც შეეხება კ. კაპანაძის თხზულებას, ის არის 428 გვ. და ი. გომბორილს—96 გვ. სულ სამივე 884 გვ.

✦ 21 იანვარს ოვიდა სოფლის სამკითხველოების დასათვალიერებლათ წ. კ. გ. ქუთაისის განყოფილების ბიბლიოთეკების მეთვალყურე. იგი ჯერ სუფის სამკითხველოს დაათვალიერებს, იქიდან ამოიყოლს მუხიანებში, შემდეგ წავა სვირის, სიმონეთს, კურსებს, მაღლაკსა და გოჩაჯიხაში.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო „განათლების“ № 1 იანვრის ოვისა. ამ წლის ხელის მოწერილებს შეუძლიათ მიიღონ იგი კანტორაში. მანვე მიიღო „ნაკადულის“ № 1, მცირეწლოვანთათვის.

✦ ესი ამერკული ჟურნალისტი რუსეთს მოდიან და მთელი იმპერია უნდა მოვლონ.

✦ მინისტრად საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცოვი იმის მოიხრა, რომ ქალებს ექნებოთ უფლება მიენიშნოს. სახელმწიფო საბჭოში ის ამ საქმის შესახებ კანონ პროექტს მხარს დაუჭერს. კოკოვცოვმა სთქვა:—უმაღლესი განათლების მომხრე ვარო.

✦ სინოდი თანახმაა, რომ სობუნის ეპარქია საქართველოს საეპარხიოსნოდან დამოუკიდებელ ეპარქიათ გახდეს.

✦ ს. მაკანინში პოლიციამ შეიპყრო სალუქვაძე და ცეცხლაძე, ისინი გადასახლებული ყოფილან და თავის ნებით დაბრუნებულან.

✦ ახალთ არჩეული თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძოლი კ. აბაზაზი 42 წლისაა. მას უმაღლესი სამხედრო სკოლა აქვს გათავებული, ერთხანს „კავკაზსა“ და „ივერიაშიც“ ათასგვარა წერილებს. იგი საზოგადო მოღვაწეობას და საქმეებს სამის ბიძის იღია პაპავაძის ხელმძღვანელობით ეწეოდა ამასთანავე დაკვირვებული და ნიჭიერი კაციაო.

✦ სოფ. ჭალადიდში ყანაღთა ბრძოლა სოფელს მოეღო და სცარცვავსო. ყანაღების გამრავლების გამო იქ მთავრობის მამასადამლისი და რამდენიმე დარაზი დაუნიშნავთ. ამათი ფული იხიც გაძვალტყვებულს სოფელს ხდებაო.

✦ პეტერბურგში ხმა დადის—გენერალ დუმბაძეს პეტერბურგის გრაფონაჩალნიკათ ნიშნავენო.

✦ განათლების სამინისტროში დაუდგენიათ ლათინური ენის სწავლების გაძლიერებასთან ერთად გამარტივონ გიმნაზიების რიცხვი, სადაც ორივე ძველ ენას ასწავლიდენ.

✦ 16 იანვარს ტაშკენტის სამხედრო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება 40 სასჯარის საქმის შესახებ, რომელნიც ბიწკინი ავაზაკებისათვის სამართალში მისცეს; ამათგან 27 გაუმართლებიათ, შეღავისთვის კატორგა გადაუწყვეტიათ ვინმეთ 4—8 წლამდი და ექვსი თვის კი ორ-ორი წლის გამასწორებელი ციხეში მიუსჯიათ.

✦ გაზეთი „იმერეთის“ კანტორა ოურმს მადლობას უცხადებს მეთუნეებს ვინც ტორაძეს, რომელიც ნახევარი წელიწადია სრულიად უსასყიდლოთ არიგებს გაზეთის აგენტებთან და ხელს უწყობს მის გავრცელებას.

ჯერჯერ დიდ მადლობას უცხადებს ღულაძის მიდრიზე მოვაჭრეს ამბროსი ხვინგიას, რომელიც ნახევარი წელიწადია, თავისი ღუქნიდან ჩვენს ხელისმოწერილებს გაზეთს აწვდის, ყიდის ცალკე და არავითარ ხელფასს არ იღებს.

✦ 13 იანვარს სოფელ ...ში (ქუთაისის მაზრაში) ხანძარი დაწყებულა და გადაწვა 12 წლისა. ქვლიძის ოჯახის ნამოსახლარი არ ყოფილა და ბავშვი ხანძრისგან ცეცხლთან; ცეცხლი მძინარეს კაბაზე წკიდია და გაძალებამდი ვეღარ გაუგია. როცა გაძლიერებულა, უკვარია გარეთ გამოგარდნილა და გაქცეულა. მეზობლებაც გეიან გაუგიათ და მიშველებიან. მაგრამ ბავშვი თითქმის დამწვარი ყოფილა. უსულოდ ოთ დღეს.

მეც მომისმინეთ!

მეტი გზა არაა—ცოდვა აღსარებული სჯობია. ლექსი—„ვაჭა დეპუტატს“! — ჩემი ბრალია, რომ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ მე ეს ცოდვათ არ მიმაჩნია. ამ ლექსის ამბავი მანამდისაც ვიცოდი, ადრე, ადრეც ჩამბული ვიყავი გაზეთში, მარა მისი დაბეჭდვა ფიქრათ არ მომსვლია, და დაუსტამბავი რომ იყოს, შეიძლება, არც ახლა დავბეჭდავდი მას... მაგრამ მაშინ დრო იყო ასეთი:—არჩილ ჯორჯაძეს გაყვანით მოისხენია თავის საგულისხმო წერილში ამ ლექსის ამბავი, ჩვენს სახელოვანმა, ეროვნულმა დიდებამ, აკაკიმ თუ ზეციმ ხელი დაუწყო იმით, ვინც ეროვნულ საქმეში ისე არ საქმიანობენ, როგორც უსაქმია ამ დიდებულ მგოსანს, იქით კიდე „თემი“: ჭრიგოლით ამხედრდა ჩვენს წინააღმდეგ—ენახე მარჯვე დრო, ამ დროს შესაფერი მარჯვე ლექსი მომაგონდა და დავბეჭდეთ უნდა გითქვიდე, იქ ნება, გავკადნირდი და ვეწყენე მზეთა-ვან მგოსანს, მაგრამ მაშინ მაჯარა განმარტებაც მიეცერე ამ ლექსს:—ისეთი მარჯვე და მახვილი ეს ლექსი, რომ ზედვე ტეტიან, ვისი დაწერილიც უნდა იყოსო თქვა.

გადაჭრით არ მითქვამს—აკაკისათქო, თუმცა არც მაშინ და არც ახლა მესმის, რათ უნდა ეუკადრისა მგოსან ამ ლექსის ავტორსაც.

ყოველ შემთხვევაში ბოდიშს მოვიხდი და ქედს ვიხრი მგოსნის წინაშე. ჩემი კადნიერება მისატევებელია... აკაკი და მისი ნაწერი ერის საგანძური საკუთრებაა... მისატევებელია, რადგან ყოველი ამ ნაწერის გამომწერებსა ცალკე შტეცა და ვირსკვლავიცაა ერისთვის...

აკაკის ფასსა და ღირებულობას, როგორც ერის ტკბილისა და ზეაღტაცეი მღერილას ვერც დიასმიღე გვასწავლის თავისი „თემით“ და ვერც თანდ დარბაისელი ძველი მწერლობაი და ჩვენი პერიოდიკული გამოცემების ცნობილი თანაშრომელი—ქაიხოსრო გელოვანი თავის დაბეჭდილ ლექსში „ვაჭა ბატონი“ ნერთთა“ ახსოვთ ნათლად და პარიზის „ქუჩურ ჭრაში“ ადარებს (ალბათ ეს სიტყვები დიდათ თვალსაზრისით მიანნია პატივცემულ მოკამათეს!): იქაც ასე ამბობენ, რომ ტტერი ის არის, ვინც ქვეყნისათვის მაგნებელობაო, „ხოლო გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ ვინ არის მაგნებელი ქვეყნისათვის, ისევ ის ალნაშნული პრესააო“!.. და შემდეგ გაანგამობს: „როდესაც ამგვარი ზნე დაკანონდა და დამკვიდრდა ქართულ ერთ-ერთი პროგრესიული ორგანოში, ეს გარემოება მწუხარებას მეტს არაფერს იწვევდა ჩემს გულშიო“!..

ამაზე ჯერ ის უნდა მოგახსენოთ ბ. ჯორჯაძეს, რომ თვით მას იგივე ცოდვა ჩაუდენია, რაშიც მე ზევით მამტყუნებს: აგერ ორი წელიწადია..., „შინაური მტრებს“ სათაურით წერილებს ვწერო—და მხოლოდ დღეს მიცხადებს ბ. ჯორჯაძე, რომ თითქმის „არ მიაბა“ ეს წერილები და „მწუხარების მეტს არაფერს ვგრძნობდი ჩემს გულშიო“!

ბ. ჯორჯაძეს რომ წაებაძოთ. მაშინ მეც უნდა მოვახსენო მას, რომ ამდენხანს სად ბძანებულიყავით, „პირუთვნელობასა და პირდაპირობას ღალატობთ“-ო. მაგრამ მე ამას არ ვიტყვი, რადგან ამგვარ მსჯელობაში ლოღიკას ვერ ვხედავ, ხოლო იმას კი მოვახსენებ, რომ მისი აზრი ჩემი „შინაური მტრებია“-ს შესახებ უსაფუძვლოა—და, მასასადამე, უსამართლოც. „შინაურ მტრებში“, როგორც ზევითაც მოვახსენე, მე იმისთანა სახეზის ვეხები, რომელზედაც სინდიასინაზისა და შეენებული ადამიანისათვის ორნაირი აზრი არ უნდა არსებობდეს, და ვგმობ იმ ჩვენს მოამეებს, რომელნიც კულტურული ადამიანებისათვის საჯაჭიროო ქეშმარიტებას არღვევენ.

მაშასადამე—რა მოსაყვანი იყო აქ „პარიზის ქუჩური პრესა“ ან „რეაქციონერობა“?! ბ. ჯორჯაძეს შეეძლო კაცთათი მხოლოდ იმაზე გაეწია, თუ რამდენათ სამართლიანათ აღენიშნე მე „შინაური მტრები“, თვითა „არ მიამთა“: —რომ იძახის, რა არ იამა? ისა, რომ მტერს მტერი ვეუწოდე?! ნუთუ ბ. ჯორჯაძე ფიქრობს, რომ მტრები არ არიან ჩვენი ქვეყნისა ის ვეფხვტყიანები, რომელნიც სამშობლო ენას უარყოფენ და ოფურთხებენ? ან ის ვეფხვტყიანები, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში ქუთაისის ბანკს ცარცვავდენ და მით ქართული გიმნაზიის დატაკ მოწაფეებს ხელიდან საზღოს აცლიდენ?! ან ის ვეფხვტყიანები, რომელნიც ლამაზი ლექსებით სამშობლოს ეტრფიალებიან, მაგრამ ცხოვრებაში სამშობლოსადმი გულწრფელ მებრძოლთა აზრებს „ბინძურ აზრებს“ უწოდებენ?!

როცა ბ. ჯორჯაძე თავის აზრს ამბობს სხვადასხვა პირის მოკმედებასა და მნიშვნელობაზედა ხშირათ ისეთი „ზღილობიანი“, კილოთი, როგორითაც მე მეკადაჭიებ, ეს აზრი უტყუარია და ჩინებული და იგი „კეთილშობილური პრესის“ ნაყოფად! ხოლო როცა სილოვანი თავის აზრს აცხადებს რომელიმე „მოღვაწის“ ნაკლულოვანებაზე, ეს „ქუჩური პრესის“ მოსაწვეებელია! კეთილშობილური მართლმსაჯულება თუ გწერავთ, ეს არის!!

ჩემს „ღია წერილში“ ვამბობდი: „როცა ადამიანები გონებრივით და ზნეობრივათ თანასწორათ განვითარებიან და გაკეთილშობილდებიან, მაშინ—თანახმა ვარ და ამოშლი და ამოწერია სათნოება, ლი გრძნობა და სწავლი აზრის პატ ცემა. ...და უფრო მეტად გაგვიხ პირველი თვისება ადამიანისა ... ყოფ და დასაგმობ საშუალებებს, ლის სხვებრივი ხშირათ სრულებით ნაშაულო წრე და პიროვნება ხოც შეიძლება ამისათვის ვისმეს ბ კური გულწრფელობა და პირდა ცნობდენ, რომ ამ ტაკტიკით დებენ ისინი მუდამ და ყველგ რომ საქმე ის არის, რომ ეს „საქ ბა“ მხოლოდ იღეთ მოწინააღმდე ხვდებით და ამ უსაფუძვლო ჩრიქით დამ თავის უფალი იქნები, თუკი ბ ხე და მათ ვიწრო ორგანიზაციულ შინით არ გაწვევიტე. აქ იგი ეუ თვის ფრთას გადაგიფარებს და ზ განსაკუთრებულ საზოგადოებ ი, ირჩევი მთრალი, რომელიც ნი მისდევენ და რომელსაც ასე ე რაც ამას პარტიული პროგრამა თხოვს.

კ...

ПРОФЕССОРИ ПАРМЕНЕ ИЛ ДА ჯეიოვილი.

(შის ბრძოვნებისათვის არჩევის გამო).

მოდი და ნუ გაგიკვირდება, რომ დაჩაჩარუოსა და მოტყუებულს ლის იშვიათად. თითით საჭიროებენ ლები, ტხებები, რომელთაც სიცრუეში აუტანელ პირობებში, უკულმართ დით სწავლას სძლიეს, გათავეს სამეფოთ და უმაღლესი სასწავლ და საქვეყნო მოღვაწეთ შეიქნენ. რაც ცხეში თამამათ ასანიშნავია ის ლისხმო პროფესორი პარმენ ქეი არა მარტო მისი მეცნიერული თ მით, არამედ ცხოვრებით, გასაო დიდულელი ენერგიითა და ავადმ

პროფ. პარმენ ქეიოვილი სტა მოღმივე ქ. ხარკოვში, თავის სახლში. მიუხედავათ იმისა, რომ შეძლების პატრონია—ფარხოლო, მოკლე კაცივით სტუმრობს. თავ გულშემატკივარი, შემწე ფულით, და განა ჯოყოლაძეები, ბალანე დახასიათებება ჩვენ თანამემამულე

მიადგება ვინმე კარს და მ-ნი შესაფერი პატივით და ღიმილით ლობს მისულს უშასპინძლდება, ამ ართობს, ვის ტანისამოსით დაასა ზოგს ბინას აუჩენს, სამშობლო ისტერებს და სხვ. ბევრი აქაური დენტებისა და ფარშაკეტებისთვის მენინც გამოკითხვის ჩამოდ კოვში, ხელი გაუწვდია და სწავლით დახმარებია ც რებაც კიდეც.

როგორც პროფესორი—პედაგო უდარეგნია. იგი ლექციების

ვარ—ამევარ ადამიანებს, რაც გაბრაზებული იყოს, ყველაფერი ცემით მიუშვირო, შერკინებით—დ დაიბეჭენ"-მეთქი.

ბ. ჯორჯაძის ყურს ეს ჩვი აცთენია—და ლექციის მიკითხვს ტურული ბრძოლის შესახებ!.. ბ. ჯორჯაძეზე უფრო ხნიერიც ვ ვეიქრობ, ცხოვრებაში უფრო გ ლიც, მაგრამ მაინც არ ვიტყვ ლექციას, რომ შიგ ხალი მოსაზრება, კური მსჯელობა იყოს; მაგრამ რო და დავიჯერო მისი ლექცია, ო ტკიცებს, თითქმ დღევანდელი „ქ რა“ იქმები იყოს მისული, რომ „უფლების“ დაცვასათვის ზედგ ლობასა და ტკბილი სიტყვების ფირი იყოს საქირო?! მე მხოლო ვანდელ დღეს, როცა ადამიანი ტურალობა“ (და ისიც ჩვენ) მაღლა დგას, როგორც ბ. ჯორჯაძ ნა, დღევანდელ დღეს აღვარებ „კი, კილი ბიღისა წილ“—და ბ. ჯ ძე ამას „შურისძიების პრინციპს დების, ხოლო ადამიანისა და ერთ ლების დაცვისათვის—„ბრძოლის ციპს“ აღიარებს!.. მაგრამ ერთი ბძანოს: ეგ ბრძოლა რაღაა, ვი იგივე გმადი გმადის წილ? ჩვენ ნა და ვებრძოლით. რომელნიც ლებას ლახვენ, ჩვენს სიმპათიურ გურებენ: ჩვენ გვებრძვიან—და ვებრძვით, რომ ჩვენი უფლება დ ოსმოფეთ ბალანების სახელით უფლებებს თელავდა, ბალანები ტსტის სიტყვიერათ დიდხანს ა მაგრამ არაფერი გაუეფა—და ძალა მიიტანა, იერიშზე იერიშ

მსმენლების ფსიხოლოგის, მათ ცოდ-
შეიტყობს და შემდეგ შეუდგება ლე-
ების კითხვას. მსმ. ლ-ნისათვის პარტ-
საყვარელი მეგობარ-მასწავლებელია.
ლექციათა არაოთუს მოსასწენი და გა-
ებარი არ არის და ძვირფასია არა
ებარი მდიდარი შინაარსით, გასაგები
თით, გაუჭირმებელია მეთოდით, რაც
პირველთათ შემოსილი ხარკოვის უნი-
ერსიტეტში და ქალაქების საბქიმო ინს-
ტიტუტში, არამედ იმით, რომ ის დაწი-
ებულ დროს არ უყურებს, ყურადღებას
აქცევს მსმენელებს, მათ სურვილს, ვინ
ის ვერ გაიგო და ხშირათ ერთი საათის
ნაცვლად 2-3 საათს რჩება ხოლმე. გა-
ეკეთებით უწევენებს, უხსნის, იმეორებს
ეს რაც გაუგებარი დარჩა. ამისთვის,
ბატონი, მსმენელები მას დიდის ნდობით,
პატივისცემით და პატივისცემით ეკურო-
ებიან და „ჩვენი მამაო უწოდებენ."

ძალიან იშვიათია, რომ მისი ლექციის
ისმენის დროს, დარბაზის ქანდარებიც
ავსეს სავსე მსმენელებით და გათავების
შემდეგ ქმაყოფილი ადტაცებით, ირგვ-
ივ შეხარხარებულნი არ აცილებდენ თა-
ს საყვარელ დემოკრატ—ლექტორს.

პროფ. პარმენ ჯეიშვილი ჯერ კიდევ
ასწაულად და ჯან-ღონით აკეთებს და ბევრს
ასებს ფიქრობს ჩვენი ქვეყნისათვის.

ახლა ბიოგრაფიაც ამ ნიჭიერი ადა-
ნანისა.

პარმენ ჯეიშვილი დაიბადა 21 თებერ-
ალს 1871 წელს სოფ. ქვიტირში (ქუთა-
ის მახლობლათ).

პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო თა-
ს სახლში, ხოლო საშუალო ქუთაისის
ოგიმნაზიაში, რომელიც გათავა 1892
ელს. იმავე წელს, 2 ოქტომბერს შევი-
ა ფეთაქის მოწაფეთ. 1895 წელს აფ-
ანაში სამი წლის ყოფნას შემდეგ დაი-
ირა გამოცდა პროგრესიის თანაშემწის
ნაშრომზე ხარკოვის სამედიცინო უნივერ-
ეტეტში, მედიკურ ფაკულტეტზე. 1896
ელიდან 1900 წლამდი ვარჯიშობდა რუ
ის სხვადასხვა ნორმალურ ფიზიოლაბო-
ორიებში. შემდგომში 1900 წელს, შევიდა ხარ-
ივის იმპერატორის უნივერსიტეტის მე-
იცინო ფაკულტეტის არსებულ ფარმა-
ოლოგიის კაბინეტში. 1902 წელს შემო-
ებული, 4 სემესტრის გათავებისა და
ოქტორის ხარისხის პროგრამის შემდეგ მიიღო ხარისხი პროფ
ორისა. 1902 წლიდან 1904 წლამდი
ივილ-ორდინატორათ საავადმყოფო
ფაკულტეტის ფარ-
ოლოგიის კაბინეტში. გაზაფხულის
ებში 1905 წელს, შეუშაობდა იმავე
ინაში სასაზღვრო მედიცინის ლაბო-
ატორიაში ხარკოვისავე უნივერსიტეტ-
ან პროფ. პუდენკოსთან, ხოლო 1905
ელს ზაფხულში მუშაობდა ხარკოვის
ბა, და როცა მოერია, მხოლოდ მაშინ
ოიძია უფლება თვისი...

დ ან რა საქიროა ეს ბრძოლა, ეგ
სხლის ღერა და ეს ხიცვა-ტყეცაც?
ეს იმიტომ არის დღეს საჭირო, რომ
ადაინახოთ დიდი უმრავლესობა ჯერ კი-
ევ შეუგნებელია, თითქმის ყოველ ადა-
ამში მხეცი ბუდობს—და, ცოტათიც
ოს თუ გაიღიძებენ, მოგვარდება და
ღეს დაიწყებს... და თქვენ ნუ ბედავ,
ომ მკვნარი მხეცი ტკბილი სიტყვით
ამოითრთოლ?!.. არა, ბ-ნო არჩილ: დღე-
ანდელ დღეს ჩემი პრინციპი აუცილებ-
ელია, და შორეული მომავლიში კი—
ოგორც ზევით მოგახსენეთ...

ქვილ ზომიერ ადამიანთან, რა საკვირ-
ელია, დღესაც შესაძლებელია „კულ-
ურული ბრძოლა" და „ზდილობიანი
ბრძოლა", მაგრამ ვერი კი არის ამგვარი
ადამიანი?! აი, მაგალითად, მე თქვენ
ნ ზემოთ ზომიერ ადამიანათ მიმაჩნდით და
ხლაც მიმაჩნიხართ, მაგრამ თქვენც
ეს უსამართლოთა გამოიჩინეთ—და ჩემს
ელმოწერილ უზდილო პასუხი
ეც ეთი. ასეთია საზოგადოთ დღევან-
ელი ადამიანი: უყვეილეშობილესათ
ზომიერიც კი ზშირათ უსამართლოთას
ენ—და, შენს თვალში რომ წვილს
ეპოვნეს, თვის თვალში დვარესაც
ამჩნევს!..

თქვენდამი მომართულ ჩემს წერილში,
ბ-ნო არჩილ, უმთავრესათ ორი საკითხი
ა გადასაწყვეტი: ერთი—ბრძოლის
ესახებ, ხოლო მეორე—მოღვაწის სა-
ელოდნიო დაფასება. თქვენ, ბ-ნო არ-
ილ, ვერც ერთი ვერ გააშუქეთ, ვერც
ემზე გადაბრილი პასუხი ვერ მომეცით,
ე პასუხით არ ჩასთვლით იმას, რომ
ასაქმით საზოგადოების პატერნოლოგი-
ურ ინსტიტუტში აქ. მასლოვით. 1905-
1907 წლამდი ნამდვილ სტუდენტათ ირი
ცხებოდა ტენევის უნივერსიტეტის საბუ-
ებისმეტყველო ფაკულტეტზე.

1906 წელს გადავიდა იმავე ფაკულ-
ტეტზე გერმანელის უნივერსიტეტში,
რომელიც გათავა იმავე წელს დისერტა-
ციის დაცვას შემდეგ. ქიმიის დოქტორის
ხარისხით 1909 წელს ოქტომბერში და-
იცვა დისერტაცია ფარმაციის მაგისტრის
ხარისხისა ხარკოვის უნივერსიტეტის არ-
სებულ საავიმო ფაკულტეტზე. 1910
წელს დაიპირა გამოცთა, როგორც „ეჯს-
ტერნჰა" ჯურნალის გამგზავნილი, სანეფრის
მოწმობა. 1911 წელს, შემოდგომის
სემესტრზე მუშაობდა მოსკოვში პროფ.
ნასტიუკოვთან, ანალიტურ ინსტიტუტ
ში. 1912 წლის დამდეგს იგი აირჩიეს
ხარკოვის უნივერსიტეტის პრივატდოცენ-
ათ ფარმაციის და ფიზიკოქიმიაში კათ-
ედრაზე. ხოლო 12 დეკემბერს 1912
წელს კონკურსით აირჩიეს პროფესორათ
ამავე კათედრაზე ხარკოვის აქიმთა სახო
გადაების ქალების საავიმო ინსტიტუტში,
(კონკურსი იყვიდენ მონაწილეობას პროფ
ვალიაშკო და პრივატდოცენტი კრასო-
ვსკი), უნივერსიტეტში კი კონსულობს
თვის დარგის კურსს სტუდენტ—ფარმა-
ეტებს.

ჯერ დაწერილი აქვს რამდენიმე მეც-
ნიერული შრომა და ახალგაზდა ენერგი-
ით სავსე კაცი კიდევ ბევრს შესძენს მე-
ნიერებას თავის დაუღლელი შრომითი
და ცოდნით.

ვ. დ—ძე

სახელმწიფო სათათბირო.

21 იანვრის სხდომა.

რამდენჯამ სხდომას გახსნის და უწო-
ავს სათათბიროს ახალწელს. მასთან
უსურვებს, რომ მომავალი მისი მუშაობა
ოფილიყოს ნაყოფიერი და მშვიდობიანი.
მორიგი საკითხი, რომელიც უნდა განი-
ილოს სათათბიროს პერმის გუბერნიის
არჩევნების შეხება. მომხსენებელი ჯერჯე-
სგვარტი წინადადებას აძლევს სათათბი-
როს არჩევნები კანონიერათ იქნას თუმ-
ცა ამასთანავე დასძენს, რომ არჩევნი
პირდა-პირ სათათბიროს გადასცეს, თუმ-
ცა შახოვის საზოგადოების რწმუნებულე
ანაყოფილების კი დაეყალა, რომ არჩევ-
ანის დროს ადმინისტრაციის უკანონო
ოქმედება მინისტრთა თავყრილობის მო-
ახსენოს.

ზამხედოვსკი მომხსენებელის მეორე წი-
ადადების წინააღმდეგ აცხადებს, საჩივა-
ი კანონის მიერ აღიარებულ ვადას გა-
დასცდა და ამისთანავე პირდაპირ სათათ-
იროში იქნა შეტანილი. ასე რომ ადგი
ლობრივ მოსახლეობის საშველება არ კონ-
და ამ საჩივრების თავი ემოთლებია და
ბრალება გაეზათილებია. საჩივრის უმ-
ავრესი მუხლი პოლიციის სიდიდეს
ენიშნავს, რომელსაც ამასთანავე არჩევ-
ნებზე არაფერი გაელენა არ მოუხდენიათ.
ეს საჩივარი ჩვეულებრივი და საყოველ-
თაო ავიტაციური ფანდია, რომელიც
აშველებას აძლევს მომჩივნებს ადმინის-
ტრაციის საყოველთაო შეურაცხებაზე
ილაპარაკონ.

გიშვილი და შარაძე შეორე ზამილოვ-
სკის ბრალის უქებენ.

გურასპანი აღნიშნავს მთელს რიგს
უკანონობისას, რომელიც არჩევნის დროს
ხდებოდა, მაგალითად არჩევანი კენჭე-
ით კი არა, წერილებით ხდებოდა. რის
გამო სურვილისამებრ გამორჩევა არ შე-
იძლებოდაო; ადგილობრივ ადმინისტრაციას
ასე უადგილოთ და უსაფუძვლოთ მაგარ-
მაგარ „ეპიტეტებს" ხმარობსთ, როცა
იმავე „ეპიტეტებისათვის" სხვები ჯვარს
ენდათ ეცვათ! მეორე საკითხი კი
სრულიად მიჩქმალეთ, მიაფურჩქეთ, თით-
ქო ასე უმნიშვნელო იყოს! მე თქვენ
ორი მწერლის დაფასების სიზომა მო-
გთხოვეთ, რომელთაგანაც ერთი სიტყვა-
ის პატიოსანია და სამხილოა, ხოლო მე-
ორე თავის ლამაზ სიტყვებს ცხოვრებაში
ლალატობს: ნუთუ ორივე ერთნაირათ
უნდა გვაღმერთოთ და ხელით ვატა-
რათ-მეთქი? თქვენ ამაზე გადაჭრილს
არაფერს მეუბნებით, მაგრამ თქვენს წე-
რილში აქა-იქ იმისთანა აზრია გა-
ტარებული, რომ თქვენც ბრძოლით
ერთად მომხრე ბძანებიხთ „კერპ-
თა გაღმერთებისა," რასაც პრინციპი-
ალურად ითვლო უარყოფთ: მაგალ. თქვენ
წინათაც ბძანეთ და ახლაც ბძანებთ: „ჯე-
ან დიდი პატივების ღირსია და მას
ყველგვარ მორიდებით უნდა მოეეპყრა-
თო"!

აქედან ლოდიკური დასკვნა: თუ სახე-
ლოვან მგოსანს ყოველგვარ პატივისცემი-
თ და მორიდებით უნდა მოეპყრათ,—
უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი უნდა
ებატონოს, თუნდ სოციალურ-პოლიტიკურ
ასპარეზზე ქცევანის მოღალატეც იყოს!

განა ეს ლოდიკური დასკვნა არ არის?
ოლიმც იმიტომაც თქვენ ასე ეზოდიშებით
. აკაკის, რომ უნებლიეთ სხვისგან
ანხმარი „ეპიტეტები" იხმაროთ, და იმავე
როს სილოვანის შესახებ იმისთანა უხ-
გესსა და შეუფერებელ ეპიტეტებს ხმა-
ობთ, როგორიც არის: „რეაქციონერი-
ბა", პოლიტიკური ნაძირალები", „ჟი-
ური პრესა" და მრ. სხვა—და ამისთვის
მობოდიშება ფიქრათაც არ მოგსულათ!
რატომ იქცევით ასე? ალბათ იმიტომ,
რომ აკაკი დიდი მგოსანიაო—და სილო-
ანი ხომ დაბალი ღობეო! ნუთუ ესეც
ლოდიკური დასკვნა არის თქვენი მსჯე-
ლობისა და საქციელისა?! ნუთუ ამას შემ-
დეგ კიდევ უნდათ დავიჯეროთ, რომ თქვენ
ისევე მოიხრე არა ხართ „კერპთა გაღვერ-
თებისა", როგორც ბ. გრ. დიასამიძე და
ძნინი მისნი?!.

დასასრულ თქვენ ბძანებთ: „ამ ორი
თვის წინათ მხოლოდ ილორა და სახოგა-
დო ხასიათის საკითხში დაგიჭირეთ მხარი,
ენლია კი, ვხედავ, მეცსა მთხოვა: გიან-
დათ, რომ სილოდარობა გამოგიცხადოთ
იმაში, რაშიაც არასოდეს არ გეთანხმებით;
ამას კი ვერ ვიკისრებ, რადგან თქვენს ახოვნებაში ბეური რამ არის იმისთანა, რასაც მე ვერ ვიწყნარებ და რაც ჩემის რწმენით კულტურის შებღალვად მიმაჩნია".

ამგვარი ტირადა მხოლოდ იმისთანა ადამიანისაგან არის მოსალოდნელი, რომ მელსაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა ენდა ქონდეს და რომელიც თავის თავს შეუცთომელ მსაჯულათა სთვლის! ამა სადან შეთხზეთ, ბ-ნო არჩილ, თითქმ მე გემუდარებოდეთ, თქვენ ჭირიმეთ ყველაფერში მხარი დამიჭირეთ-მეთქი? პირიქით, თქვენს წერილებში შემცთარი შეხედულება დაგინახე—და გამხილეთ, მე გეკამათეთ, არ მოგიწონეთ შეხედულება,—თვითა ღმერთმა დამიფაროს იმგვარი ხახოვნისაგან, როგორსაც მე თქვენს მაწერთ! ან რათ მაყენებთ ამ თქვენს წყნარ კამათს ისეთ ტონზე, რომელიც ჩვენ შორის არ იცავს. მეორე სათათბიროს შემდეგ ის უპირატესობის წინააღმდეგი იყო და ახლა მესამე სათათბიროს სამარცხვინო სიცოცხლეს შემდეგ, კი უპირატესობის მომხრეთა. ხმები მარჯვნით: „რატომ სამარცხვინო? შეუწყნარებელია ასეთი სიტყვა".

თავჯდომარეს ასეთი სიტყვის ხმარება შეუწყნარებლათ მიაჩნია და ორატორს წესიერებისათვის მოუწოდებს.

ზხენკევიჩი აცხადებს, რომ მესამე სათათბიროს დარჩენილ მემკვიდრეობის მიღებას ყოველგვარ ეურას ყოფენო.

სათათბიროში კომისიის ყველა წინადადება მიიღო. ოპოზიციის 33 წევრის წინადადება, რომელიც მოითხოვს კომისიას ვადა გაუგძელდეს პრინციპიალური საკანონმდებლო! მუშაობის უპირატესობის საკითხის განსახილველათო სათათბიროს უარყო.

ჯავჯავაძეს აცხადებს—შემოიტანეს 6 სახჩარო შეკითხვა, რომელსაც 25 იანვარს გამოვცხადებთო. წინადადება მიიღეს, რომ ოთხშაბათს სადმის დაინიშნოს სხდომა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ შეკითხვების განსახილველათად.

დეპეშა.

ტერმენურის დეპ. სააგენტოსაგან.

ო მ ი ბ ა ლ ა ნ თ ზ ე.

სოფია. მიუხედავათ სამშვიდობო მოლაპარაკებისა, აქ ოპტიმისტური განწყობილებაა. ყველა პარტიის ბელადნი ოსმალეთის ცვლილებაზე იმ შეხედულებისა არიან, რომ ახალგაზდა ოსმალეტს მართველობის ხელში ჩაგდება უნდოდათ და მიზანს კიდეც მიაღწიეს. ვისაც იმედი აქვს ახალგაზდა ოსმალეტი სიმპატიით მოკვეპყრობიან ძალიან ცოცხა. მათ უნდა შეიგნონ ომის გაგძელებისათვის მათი ჯარების უძლურება და თუ მაში მაინც დაიწყეს, იძულებული იქნებიან იგივე დათმონ მოკავშირეებს, რაც ძველმა მთავრობამ დათმონ. ფიქრობენ: თუ ახალგაზდა ოსმალეტმა ომი განაახლეს, მოკავშირეები ადრიანოპოლის იღებით დამაფიქსირებიან და შემდეგ საჭართო ზავს ჩამოაგდებენო.

დრინდნი. როდესაც გაზეთი „ტაიმსი" ბალკანეთის ომის განაახლების საკითხს ეხება, იმ სხვათა შორის ამბობს: ომი ხანმოკლე იქნებაო. გაზეთი დარწმუნებულია, რომ დიდი სახელმწიფოები ერთიანათ თანახმა არიან საჭიროთ მშვიდობის დამყარებისა. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ამ ახლო დროში გერმანიის ელჩის ლონდონში წარმთმქმული სიტყვა. აგრეთვე ფრანც იოსების საკუთარი წერილი რუსეთის ხელმწიფისადმი საუკეთესო გარანტია ევროპის შვიდობიანობისა.

„რეიტერს": სტამბოლიდან ატყობიებენ, რომ იმედი ომის შეწყვეტისა ჯერ კიდევ არ დაგვკარგიაო. დიდ იმედებს ბამარის დაკვრას?! ღამის, ჭაში ჩავარდნილი კაცივით, იძულებული გამხდარი გობოთო: არაფერი მინდა ღმერთო, ოღონდ ყველერებისაგან გამათავისუფლეთ მეთქი!... მე ჩემი რწმენა მაქვს, რომელიც ერთისა და ორი საათის ნაფიქრალი არ გახლეთ, და ტყუილათ ფიქრობთ, რომ ჯორჯაძეების ან ვასიძე სხვისი „მხარის დაკვრა" საქირო იყოს ჩემთვის. იმისათვის, რომ ჩემი რწმენა როგორმე არ შეირყეს... ან რა მართლმსაჯულებას უნდა მოველოდე იმისთანა პირებისაგან, რომელნიც სხვებს „ზდილობას" უწუწუნებენ, თვითონ კი უზდილობათ ილანძღებიან, სხვებს „კერპთა გაღმერთებას" უკიცინებენ, თვითონ კი ეკიპებენ ლოკულობენ?! „კულტურის შებღალვას", თუ გნებავთ, ამგვარი ახოვნებისა კაცებისადმი უნდა მოველოდე, ხოლო ჩემს ახოვნებაში კულტურის შემბღალველს ერთი იოტის ოდენს ვერაფერს იპოვნის მტკიცე ლოდიკის მეჭონი ადამიანი, ხოლო მერყეკე ლოდიკისა კი—რა მოგახსენოთ!..

თუ ჩემი წერილის კიდევ არ მოგწონთ, თქვენი პასუხის კილოს დასდევით ბრალი: ჩემი „დიდი წერილის" კილოს ვეძებ თქვენი ბრძანებით პასუხი არ ეკადრებოდა...

„კბილი კბილისა წილ"!

სილოვანი.

ქუთაისი, 21 იანვარი.

P. S. ბარემ აქვე მინდა ორი სიტყვით ვუპასუხო „თემსაც", რომელმაც კიდევ ასტეხეს განგაში ჩემი პიროვნების გარშემო „წერილების" გამო. ეს ამბავი ისეთი ხმაურობით მოხდა, რომ ბევრმა ამ ამბავის ამბავი არც იცის. ამიტომ ვიტყვი, რომ ეს ამბავი ასეთია: ბ. ალ. ყიფშიძემ ბ. ალ. ჯორჯაძეს ბეჭდურათ ბრალი დასდო, რომ ეს უკანასკნელი ბ. ალ. ყიფშიძეს ეკადრებოდა

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის პოპოვება დიდძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული: საუცხოვო ბაღლისა და მინის ჭურჭელი; ბახვრული ლამპები; ვარშავიდან და ხასნავარგაროვიდან, ავრეთვე ემალ გამოქვეყნებული ჭურჭელი; ტირი; ...

მანის, ალპაკა და სპილენძის ჭაობები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარეცი და ბრინჯაოში ნატყიბი საოჯახო ...

მოხრილი სუფრის ყველაფერი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგოისისა ქარხნებიდან ლარგები. კედლისა და სპირტიანი სასუფრე კლიანკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმები, სხ. დვარგრეფისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საჭარო შემობლები. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მასალები. ყოველი, ორთქლით ძრეცხავი მანქანები და საელექტრო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შაალერი თოფი 8 კალიბრიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდე. საუკეთესო ქარხნის მებეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქ. თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მიკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებული.

მიღებულია ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმოდგენელი მთელ ამიერ კავკასიის საშაჭრო სახლი

ი. პოპიელოვის შვ-ბი

ქუთაისში

9

ამ სახით, მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ ა) წიგნების გამომცემლობა ქუთათურაში აშენაგობამ თავისი ვალი 500 მან., რომელიც მან აიღო სახალხო წარმოდ. საზოგადოებისაგან, სრულად გაისტუმრა და ბ) რომ ამ 500 მან. ორასი მანეთი ინახება სახალ. უნივ. საზოგადოების კასაში.

კარგს ინებებენ, ჩემის აზრით, თუ სხვებიც, რომელთაც წინადელ, «წ» არსებული საზოგადოების თანხა აქვთ ხელში (ამ თანხის რაოდენობა, როგორც ვიცით, 1200 მანეთამდი აღის) გადასცემენ ბგრთვეე ამ საზოგადო თანხას სახ. უნივერსიტეტის კასასვე, დროებით მაინც, ვიდრე ამ თანხის ბედს ასე თუ ისე გადაწყვეტენ მისი მესაკუთრენი—წინადელი საზოგადოების წევრნი.

ვ.ო. გველესიანი.

1913 წ. 15 იანვარი.

ბატონო რედაკტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით შეძლება მოგვცეთ, ტურნალი „ზრომის კავშირი“-ს და „კოოპერაციის“-ს რედაკტორის, ბ. იასონ გაბილაიას საყურადღებოთ განვაცხადოთ შემდეგი: კრებოულის საკრედიტო ამხანაგობის სახელზე გამოვიწერეთ გასული წლის პირველი ივნისიდან ტურნალი „კოოპერაცია“, რომლის წლიური ფასიც 3 მან. პირადათ ჩვენ ჩავაბარეთ ბ. იასონს, რის მიღების კვიტანცია გვქონდა. მასვე გადავეცით ტურნალი „ВѢстникъ мелкаго кредита“-ს წლიური ფასი 2 მანეთიც და ამ ფულის პეტერბურგში გასაგზავნი 3 შაური. მაგრამ ტურნალი „კოოპერაცია“ მივიღეთ გასული, 1912 წლის განმავლობაში მხოლოდ 2 ნუმერი, „ВѢстникъ мелкаго кредита“—კი არც ერთი ნუმერი. ვთხოვთ ბ. გაბილაიას, ხსენებული ტურნალების ფასი უკანვე დაგვიბრუნოს, რომ ამხანაგობის წინაშე პირნათლად გამოვიდეთ.

«ქვე უნდა მოვიხსენიოთ შემდეგიც: გასულ წელში ბ. ი. გაბილაია შეუდგა ნ. პ. გიმნერის წიგნის «კოოპერაციის სისტემა»-ს გამოცემას, სულითა და გულით თანავუგრძნობთ კოოპერატიული აზრების გავრცელებას ჩვენს ხალხში და ამიტომ ვიცარეთ ბ. ი. გაბილაიას ამგვარ ტომ, 12 კვიტანციაში გავუსწორე სოფ. კორბოულში, და ფულიც 7 მ. 1 აბაზი წარკუდგინეთ ბ. იასონს 8 ივლისს, რის კვიტანციაც ხელთა გვაქვს. ხელის მომწერებს ბ. იასონის დაიმედებით შეეპირდით, რომ ხსენებულ წიგნებს მიიღებენ წასული წლის ენკენისთვის შუა რიცხვებში, თუმცა განცხადებით წიგნი ამაზე ბევრათ წინ უნდა დარიგებოდა ხელის მომწერლებს, ვინაიდან ხშირათ მესმის ხოლმე საყვედური ხსენებული წიგნის მიღების დაგვიანებაზე და მეც დაბეჯითებით არა ვიცი რა, ვთხოვ ბ. იასონს ვცნობოს; ბეჭრობს თუ არა ხსენებული წიგნის გამოცემას და თუ ბეჭრობს, როდის დაურიგდება ხელის მომწერლებს; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ვთხოვთ ეს ფულიც უკანვე დაგვიბრუნოს და მით ვეიხსნას ხელის მოწერით ამხანაგობის საყვედურისაგან.

კორბოულის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავჯდომარე, ღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი.

თეატრი და ხელოვნება.

მარა მდინის ასულის ბენეფისის გამო.

ხვალ მ. მდინის ქალის ბენეფისია. დიდი ხანია, მეიწინს ქალი დაუღალავად და გულწრფელათ ემსახურება ქართულ სცენას. მუშაობით და მუყაითობით ამ მსახიობ ქალს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი სცენის სხვა ნიჭიერ მსახიობთა შორის. ბევრჯელ წვასულვართ თეატრიდან მისი თამაშით სავსებით «მაყურებლი, ნასიამოვნები და დღეს როდესაც ეს მუშაკ, ქალი თავის დღესასწაულს იხდის ჩვენი საზოგადოება ზნეობრივათ ვალდებულია დასწრის მის დღესასწაულს და დაუფასოს ეს შრომა. პიესა ვებერის და ანრი დე-გორსის პიესა «გულის შეცთომა»', რომელსაც მდინის ასული საბენეფისოთ იღებს, მეტად საინტერესოა. საინტერესოა, როგორ შეასრულებს მდინის ასული კოლეტას როლს, ამ ცქერალა ცოცხალი, მხიარული ბუნების, მჩქეფარე ქალისას. მდინის ქალს ძალი შესწევს, ნიჭი და გარეგნობაც ასეთი როლისათვის და ხვალინდელი წარმოდგენაც, ამედი გვაქვს მოლოდინს გაგვიმართლებს.

ხ.

რედაქტორ-გამომცემელი
ვ. ე. ველიძე

КНИГИ изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣшн. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариѳ., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур.; 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II. 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Клюковскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стебунова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Вашей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣшн. зад. высылаю бесплатно. Выписывать исключ. по адресу: **Бѣлая-церковь** Кіев. губ., С. А. КОЗЛОВСКОМУ.

გ. ტარდაძის და ს. ფერათლის

რკინეულობის მაღაზია იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისაგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღობეების მოწყობილობანი; სალესრგლო ხელსაწყობა, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შალიერი, ცემენტი, ცმილიან ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასით.

ქ. ქუთაისი, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში ააშენოთ ქარვა (ვლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი ისშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

ამ. ე: დ პ. საბაკოვილეგის

სავაჭროს, ქუთაისში.

(ბუშუანის ქუჩა საგუთარი სახლი).

იყიდეგა ქურა (კლიტა), თუგდის ორი „კოპეიკოვრკა“, „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. ცერჩევი ჩერჩეტით იყიდოთ, თვალა მოთხოვნილება ბევრია და ფული ლიან ცოტა არის მოსული.

მიიღება ხელის-მოწერა

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზე.

1913 წლის იანვრიდან ტურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთო ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომლები როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. 2 მ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურად.

განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.

მისამართი: თფილისი Габаевский пер. № 3.



ფილიპე ნ. ჭელიძის შამპანიური

„თამარ მეფე“ და „ოქროსიდან“

ოქრის მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ...
და ბუთი ვერცხლის მედლით. ოკონობი მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე ...
ლისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაკვეთს არა ნაკლებ 20 გოლ...
ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს.

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნად.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისთანავე გეზავნება უფასოდ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭ...

მაღაზიის ქ. სკ...ი სახლი, № 48.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1913 годъ.

Самый дешевый, ежемѣсячный доступный широкой массѣ читателей, издающійся шестой годъ НОВЫЙ

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ВСѢХЪ

КРАТКІЙ ПЕРЕЧЕНЬ сотрудниковъ беллетр. отд.: Леонидъ Андреевъ, М. Арцыбашевъ, И. Бунинъ, В. Вересаевъ, О. Дымовъ, Е. Зайцевъ, А. Купринъ, С. Кондурушкинъ, О. Миртовъ, В. Муйжель, И. Потапенко, А. Серафимовичъ, гр. А. Толстой, Танъ, Е. Чирковъ, С. Юшкевичъ, и др.; научно-попул. и критич. отд.: проф. Е. Аничковъ, П. Берлинъ, „прив.-доц. А. Генкель, проф. С. Венгеровъ, Л. Клейнборть, Е. Колтоновская, Н. Лернеръ, А. Луначарскій, Н. Рубакинъ, академ. Д. овсянко-Куликовскій, проф. И. Озеровъ, проф. В. Сперанскій, проф. Е. Тарле, проф. М. Туганъ-Барановскій, М. Энгельгардтъ, К. Чуковскій и другіе.

на 1913 годъ ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

12 КНИГЪ журнала, содержащихъ повѣсти, разсказы, стих.. статьи по вопросамъ науки, искусства, самообразованія, педагогики, исторіи, рецензіи новыхъ книгахъ и проч.

6 КНИГЪ безплат. прилож. по 128 стр. каждая, въ которыхъ будутъ даны произведенія современныхъ извѣстныхъ иностранныхъ писателей: Уптона Синклера, Бласко Ибаньеса, КаринъМихаэлисъ, Як. Вассермана и др.

12 КАРТИНЪ безпл., приложенія въ три краски, на веленевой бумагѣ: снимки съ картинъ, извѣстныхъ художниковъ и портреты писателей. Размѣръ каждой картины—форматъ страницы журнала.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: 2 Р. 20 К. ВЪ ГОДЪ И 1 Р. 20 К. ВЪ ПОЛГОДА

Подробные проспекты со списк. сотрудниковъ безпл. Пробные №№ за двѣ 7-коп. марки. Подписка во всѣхъ книжныхъ магазинахъ и почт. отдѣл Имперіи. Всѣ обязательства за 1912 годъ выполнены. АДРЕСЪ ДЛЯ ПЕРЕВОДОВЪ: С.-Петербургъ, Владимирскій пр., 19. „Новый Журналъ для Всѣхъ“.

Ред.-изд. И. М. Розенфельдъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1913 годъ.

на самый дешевый изъ толстыхъ ежемѣс. журн., до 300 стр. уборист. шрифта, при участіи лучшихъ литерат. силъ 4-й г. изд.

НОВАЯ ЖИЗНЬ

Кратній ПЕРЕЧЕНЬ сотрудниковъ белетрист. отд. Леонидъ Андреевъ, М. Арцыбашевъ, Д. Айзманъ, И Бунинъ, Б. Вересаевъ, З. Гиппіусъ, С. Городецкій, Д. Мережковскій, О. Дымовъ, Бор. Зайцевъ, А. купринъ, О. Миртовъ, В. Муйжель, С. Сергѣевъ-Ценскій, Ѳеодоръ Сологубовъ, гр. А. Н. Толстой, Танъ, Е. Чириковъ, С. Юшкевичъ, и др. Обществ.-полит., критич. и науч. отд.: проф. Е. Аничковъ, Ю. Айхенвальдъ, В. Агафоновъ, П. Берлинъ, С. Венгеровъ, Л. Клейнборть, Антонъ Крайній, А. Луначарскій, Д. Мартовъ, Н. Рубакинъ, проф. Туганъ-Барановскій, К. Чуковскій, М. Энельгартъ, П Юшкевичъ и др.

НА 1913 годъ ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ

12 КНИГЪ журнала, въ которыхъ будетъ напечатаны романы: А. Крандіевской, И. Потапенко, фантаст. ром. Н. Березина, новѣйшіе романы выдающ. иностр. писат. повѣсти, разсказы, статьи по вопросс. науки, искусства, общ.-полит. и проч.

12 КНИГЪ безплат. прил. полн. собран. соч. попул. америк. белетр., въ единств. авторизов. пер. І. А. Маевскаго съ біогр. и портрет., стоющ. въ отд. продажѣ—16 руб. 12 книгъ сост. свыше 3000 стран. текста. **ДЖЕКА ЛОНДОНА**

(Разср.: 3 р.—при поди., 2 р. 20 к.—1 марта и 2 р.—1 іюля) безъ прилож. на годъ—4 р. 90 к. на полгода—2 р. 70 к. (разср.: 3 р. при подписк. и 1 руб. 90 к. 1 іюля)

ЦѢНА НА 1 ГОДЪ—7 р. 20 к. на полгода—4 р.

СОВМѢСТНАЯ ПОДПИСКА на „Новый Журналъ для Всѣхъ“ и „Новую Жизнь“ (съ прилож.) на 1 г.—9 р. (Разср. 4 р.—при под., 3 р.—1 марта и 2 р.—1 іюля). На „Новый Журн. для Всѣхъ“ и „Новую Жизнь“ (безъ прил.) на 1 г., 6 р. 60 к. (разсрочка: 3 р. при подп. 2 р.—1 марта и 1 р. 60 к.—1 іюля

Подробн. просп.—Проб. №№ за двѣ 7-и к. марки. Всѣ обязательства за 1912 г. выполнены. Подписка принимается во всѣхъ книжн. магаз. и почтов. отдѣл. Имперіи. Адресъ для переводовъ: С.-Петербургъ, Владимирскій, 19 К-ра журн. „Новая Жизнь“.

Ред.-изд. И. М. Розенфельдъ.

მ ე ლ ე ქ ტ რ ო - ს ა ბ ე ჭ დ ა ო შ რ ო მ ა ი ს ა და ქ ა ნ ა ტ ბ ო ე ვ ი ს, ქ უ თ ა ი ს ი ში.